მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის
დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

ნაწილი 2

მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის დირექცია

USAID
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

ციალა გაგნიძე
ლიანა კობესაშვილი

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

ნაწილი II

მოსწავლეთა თვითმმართველობა და
სკოლის დირექცია

USAID
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

მოსწავლეთა თვითმმართველობა
და სკოლის დირექცია

ავტორები:
ციალა გაგნიძე
ლიანა კობესაშვილი

დიზაინერი:
თამარ ნიკოლეიშვილი

რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

ჯგუფის ხელმძღვანელი:
მაკა ბიბილეიშვილი

2022 წელი

რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს PH international-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

2022-2027 წლებში ორგანიზაცია PH international-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას.

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია პროგრამის ფარგლებში და მოიცავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. რესურსი შედგება სამი ნაწილისგან:

- პირველ ნაწილში გაეცნობით მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას თვითმმართველობების როლისა და საქმიანობის შესახებ;
- მეორე ნაწილი სკოლის ადმინისტრაციის წევრებს დაეხმარება მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდაჭერაში;
- მესამე ნაწილი მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებას საგანმანათლებლო რესურსცენტრების პერსპექტივიდან.

მოცემული რესურსი საშუალებას მისცემს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს, ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი სკოლის სტრუქტურაში დაეხმარება მათ, აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, წვლილი შეიტანონ სკოლის დემოკრატიული კულტურის განვითარებაში.

[1] გოგლიჩიძე.ა. მონაწილეობა სკოლის თვთმართველობაში, მოსწავლის წიგნი, 2011 წ. გვ.24

შინაარსი

მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის დირექცია

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი და მისი ადგილი სკოლის სტრუქტურაში 1

სკოლის დირექცია, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდამჭერი 2

მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამშრომლობა სხვა სასკოლო ერთეულებთან 4

მაგალითი 1 „მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურების ხელშეწყობა” 5

მაგალითი 2 „ზრუნვა სკოლის ინფრასტრუქტურაზე” 6

მაგალითი 3 „სასკოლო ტელევიზია” 7

რა განსხვავებაა სამოქალაქო განათლების კლუბსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის? 8

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი და ადგილი სკოლის სტრუქტურაში

მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, სამეურვეო საბჭოში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს სკოლის მართვაში. დემოკრატიული მმართველობის ეს შესაძლებლობა მოითხოვს სკოლის დირექციისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურ თანამშრომლობას. სკოლის დირექცია, რომელიც ასრულებს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობს სკოლას, ახორციელებს სკოლის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ამკვიდრებს სკოლის ფუნქციონირების მაღალ სტანდარტს და გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმატებულ საქმიანობაში.

ყველა წარმატებულმა დირექტორმა იცის, რომ სკოლის, როგორც ინსტიტუციის გაძლიერებაში მნიშვნელოვანია სკოლაში ძლიერი, ქმედითი თვითმმართველობის არსებობა. ეს კი მაშინაა შესაძლებელი:

- როდესაც სკოლის მართვის სისტემა არის დემოკრატიული;
- როდესაც სკოლაში მიმდინარე პროცესები გამჭვირვალეა, სკოლის მმართველობით რგოლებს შორის ფუნქციები გადანაწილებულია და გამართულია კომუნიკაცია;
- როდესაც სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათთან არის დაკავშირებული, ეხება სკოლასა და სკოლის ინტერესებს.
- რას უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სკოლის ხელმძღვანელობის თანამშრომლობა? უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა თვითმმართველობამ და სკოლის დირექციამ საერთო ძალისხმევით ხელი უნდა შეუწყონ სკოლაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებას. სკოლაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებისთვის საჭიროა:
- შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც დაცული იქნება სასკოლო საზოგადოების უფლებები, ხელი შეეწყობა მოსწავლეთა მოქალაქეობრივ აქტიურობას;
- წარმოებდეს საინფორმაციო კამპანია სასკოლო საზოგადოებასთან, სკოლის მმართველობითი რგოლის როლის, ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ;

- შეიქმნას განსხვავებული აზრის მიმღებლობის ხელშემწყობი გარემო;
- ხელი შეეწყოს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს პირად, სოციალურ და პროფესიულ რეალიზებაში;
- ყველა შიდასასკოლო პროცესი დაეფუძნოს დიალოგსა და ურთიერთპატივისცემას;
- ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სკოლის თვითშეფასების პროცესში;
- მიეცეთ მოსწავლეებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გამოვლენილი პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობის საშუალება;
- სკოლის თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბების პროცესში ხელი შეეწყოს დემოკრატიული არჩევნების პრინციპების დამკვიდრებას;
- მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სკოლის ორგანიზაციული ავტონომიის უფლება;
- შეიქმნას სიტყვის თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობები/საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება[10];
- შეიქმნას „ღია სკოლა“, რომელიც მზად იქნება, მოუსმინოს მოსწავლეებს, წაახალისოს მოსწავლეებში ინიციატივები და შეუქმნას მათ უსაფრთხო სივრცე ამ ინიციატივების რეალიზაციისათვის.

ამრიგად, მოსწავლეთა თვითმმართველობამ და სკოლის დირექციამ, ორმხრივი თანამშრომლობით, ხელი უნდა შეუწყონ მოსწავლეთა გააქტიურებას, დაისახონ მაღალი მოლოდინები მათ მიმართ, ერთად შეიმუშაონ სკოლის სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, შეაფასონ სკოლაში მიმდინარე პროცესები, დაისახონ პრიორიტეტები და იზრუნონ არსებული სტანდარტების მიღწევაზე. უნდა მართონ სკოლა საერთო ხედვითა და მიმართულებებით.

მოსწავლეთა თვითმმართველობა უნდა ჩაერთოს სკოლის განვითარების გეგმის შექმნის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

სკოლის დირექცია, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდამჭერი

მოსწავლემ დემოკრატია უნდა ისწავლოს და პრაქტიკულად გამოსცადოს სასკოლო ცხოვრებაში. „დემოკრატიული სკოლა“ გულისხმობს, რომ

[10] (სკოლის ინტერნეტ-გვერდის, სოციალური ქსელების, სასკოლო მედია-რესურსების მეშვეობით და ა.შ.);

სკოლის მმართველობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა ღირებულებებს, მოსწავლეების, სკოლაში დასაქმებული პერსონალისა და ყველა დაინტერესებული მხარის საჭირო რესურსებით აღჭურვასა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას სკოლის ფარგლებში მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში[11]". დირექციის აქტიური მხარდაჭერა ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტიან და ეფექტურ მუშაობას, რაც, თავის მხრივ, სკოლის დემოკრატიული კულტურის გამოხატულებაა.

მოსწავლემ დემოკრატია უნდა ისწავლოს და პრაქტიკულად გამოსცადოს სასკოლო ცხოვრებაში. „დემოკრატიული სკოლა" გულისხმობს, რომ სკოლის მმართველობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა ღირებულებებს, მოსწავლეების, სკოლაში დასაქმებული პერსონალისა და ყველა დაინტერესებული მხარის საჭირო რესურსებით აღჭურვასა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას სკოლის ფარგლებში მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში[11]". დირექციის აქტიური მხარდაჭერა ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტიან და ეფექტურ მუშაობას, რაც, თავის მხრივ, სკოლის დემოკრატიული კულტურის გამოხატულებაა.

რა პროცესები მიმდინარეობს სკოლაში, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობა ეფექტიანად ფუნქციონირებს?

- ტარდება რეგულარული შეხვედრები მოსწავლეთა თვითმმართველობასა და დირექციას შორის, იმ საკითხების განხილვის მიზნით, რომლებიც ეხება მოსწავლეთა ინტერესებს;
- სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო და ხელი ეწყობა ჯგუფური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, ინიციატივების წახალისებას;
- დირექცია ქმედებით გამოხატავს ნდობას მოსწავლეებისადმი;
- ხელი ეწყობა მოსწავლეებში სიტუაციური ლიდერების გამოვლენას და მათი უნარების განვითარებას;
- მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. წახალისებულია დემოკრატიული მმართველობა სკოლაში;
- მოსწავლეები გეგმავენ და ატარებენ კვლევებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, გამოავლენენ პრობლემებს და სახავენ მათი გადაჭრის გზებს;

[11] ბეკმენი.ე. ტრაფორდი.ბ. სკოლების დემოკრატიული მმართველობა გვ.10

- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ბიუჯეტი გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის შედგენისას;
- მოსწავლეებთან ერთად განიხილება ყველა საჯარო დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება სკოლის მმართველობით დონეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონსტრუქციული უკუკავშირი;
- მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში;
- სკოლის დირექციის ინიციატივითა და მხარდაჭერით, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ პროექტების წერა და მართვა.

მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამშრომლობა სხვა სასკოლო ერთეულებთან

როდესაც ვსაუბრობთ სკოლაში არსებულ დემოკრატიულ მმართველობაზე, ეს ნიშნავს, რომ სკოლაში არსებობენ სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც აქვთ ერთგვარი შიდა ავტონომიურობა. მათ შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული/ალტერნატიული მოსაზრებები მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რომლებსაც ასაბუთებენ და გვთავაზობენ განსახილველად. შეუძლიათ თავიანთი ინტერესების გამოხატვა და დაცვა. ჩვენს შემთხვევაში, მოსწავლეთა თვითმმართველობა, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან, საგნობრივ კათედრებთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. ხოლო, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან ერთად, მონაწილეობს სკოლის მართვაში. სკოლის მართვაში მოსწავლეთა თვითმმართველობის მონაწილეობა გამოიხატება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურ ჩართულობაში, საკუთარი (იგულისხმება სკოლის მოსწავლეთა საერთო) არგუმენტირებული, თუნდაც საერთო მოსაზრებიდან განსხვავებული პოზიციის გამოხატვასა და დაცვაში. მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამშრომლობა სკოლის დირექციასთან გამოიხატება მოსწავლეების მიერ სკოლის პრობლემების იდენტიფიცირებასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში, პრობლემების გადაჭრაში აქტიურად მონაწილეობაში, დირექციასთან ერთად, სკოლის საჭიროებების კვლევასა და სასწავლო პროცესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლაში არსებული გარემოს უსაფრთხოების შეფასებაში, რეკომენდაციების შემუშავებასა და წარდგენაში.

მოსწავლეთა თვითმმართველობას, რა თქმა უნდა, შეუძლია საკუთარი კარგი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სხვა სკოლის თვითმმართველობისთვის, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, სხვა თვითმმართველობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, დამუშავება და საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი პრობლემების გადაჭრისას გათვალისწინება.

ქვემოთ მოცემულია პრაქტიკული მაგალითები სკოლის დირექციის მიერ მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ.

მაგალითი 1

მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურების ხელშეწყობა

პრობლემა: სკოლამ, რომლის მოსწავლეები არ გამოირჩეოდნენ ინიციატივებითა და აქტივობებით, გადაწყვიტა, შეექმნა მექანიზმები მოსწავლეების სასკოლო/საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობისთვის.

მიზანი: მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა მოსწავლეთა პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშესაწყობად.

აქტივობები:

- სკოლის ადმინისტრაციამ, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, გამოყო ბიუჯეტი მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტებისათვის;
- კონკურსის გზით, სკოლაში დაასაქმა პირი, რომელიც დახმარებას გაუწევდა მოსწავლეებს აღნიშნული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში;
- პერიოდულად სკოლაში ცხადდებოდა საგრანტო კონკურსები თვითმმართველობის ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსებისათვის. თუმცა მოსწავლეებს კონკურსის გარეშეც შეეძლოთ დაეგეგმათ პროექტები და მათ განხორციელებაზე ნებართვისთვის მიემართათ ადმინისტრაციისათვის;
- შემუშავდა სქემა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა თვითმმართველობის მიერ მომზადებული და სკოლის მიერ შერჩეული პროექტებისათვის თანხის გამოყოფა, შესყიდვების განხორციელება და ანგარიშების მომზადება;

- მიმდინარეობდა ყველა იმ საპროექტო განაცხადის აღრიცხვა და სკოლის ელექტრონულ სისტემაში გატარება, რომელიც შედიოდა ადმინისტრაციაში დაფინანსების მოპოვების ან განხორციელებაზე ნებართვის მიღების მიზნით. განაცხადში ფიქსირდებოდა ყველა მოსწავლის სახელი და გვარი, რომელიც ჩართული იყო პროექტსა თუ ინიციატივაში.

  მსგავსი პროცედურები ხელს უწყობს მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნასა და, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეთა საუკეთესო მიზნებისთვის მათ გამოყენებას.

შედეგი: დამხმარე პირის სკოლაში შემოყვანამ, პროექტების განხორციელების ხელშეწყობამ, ბიუჯეტის გამოყოფამ და მოსწავლეთა პორტფოლიოებში მათ მიერ გაწეული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასახვამ ხელი შეუწყო თვითმმართველობისა და სკოლაში არსებული კლუბების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.

მაგალითი 2

ზრუნვა სკოლის ინფრასტრუქტურაზე

პრობლემა: მიუხედავად ადმინისტრაციის მცდელობისა, მოწესრიგებული იყოს საკლასო ოთახები და სკოლის სხვა სივრცეები, ხშირად ეს საკითხი მოუგვარებელია. სამწუხაროდ, მოსწავლეთა ნაწილი ვერ აცნობიერებს პასუხისმგებლობას და აზიანებს ინვენტარს.

მიზანი: წახალისების მექანიზმის ამოქმედებით, სასკოლო გარემოზე ზრუნვისა და პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობები:

სკოლის ადმინისტრაციამ, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, ორგანიზება გაუკეთა კლასებს შორის კონკურსს. შეჯიბრების არსი მდგომარეობდა შემდეგში: კლასისათვის გამოყოფილი ოთახი მთელი სემესტრის განმავლობაში უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული. თითოეულ კლასს შეეძლო, საკუთარი წვლილი შეეტანა ოთახის მოწყობაში. კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, ეთანამშრომლათ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

- მოსწავლეთა თვითმმართველობამ დააკომპლექტა ჯგუფები, რომლებიც ახორციელებდნენ კლასების პერიოდულ მონიტორინგს, რომლის წევრები, მოსწავლეებთან ერთად, იყვნენ მასწავლებლებიც.

- სემესტრის ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებული კლასი, რომელსაც სკოლის ადმინისტრაციამ, კერძო სექტორთან თანამშრომლობით, დაუფინანსა ექსკურსია.

შედეგი: მოსწავლეებს განუვითარდათ პასუხისმგებლობა და მზრუნველობა სასკოლო გარემოს მიმართ. სკოლის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა და შემცირდა სარემონტო სამუშაოების ხარჯები.

მაგალითი 3

„სასკოლო ტელევიზია“

პრობლემა: ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებისა და იქ მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისთვის. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის პერიოდში.

მიზანი: საზოგადოების ინფორმირებისა და სასკოლო დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობები: სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, შეიქმნა სასკოლო ტელევიზია, რომელიც ყოველკვირეულ რეჟიმში ფუნქციონირებს სპეციალურ ფეისბუქ გვერდზე.

- მოსწავლეთა თვითმმართველობამ გამოაცხადა კონკურსი სატელევიზიო რუბრიკების მიმართულებებით;
- შეიქმნა ტექნიკური ჯგუფი, რომელიც ზრუნავს გადაცემებისა და ვიდეოსიუჟეტების მონტაჟზე. მოსწავლეთა შორის შეირჩნენ რუბრიკების წამყვანები, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი პროგრამები და ხედვები;
- სკოლის ადმინისტრაციამ იზრუნა საჭირო ტექნიკის შეძენაზე. გამოყო პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ტელევიზიის უსაფრთხო და ხარისხიან ფუნქციონირებას;
- მნიშვნელოვანია რუბრიკების მიმართულებები - ისინი ეხება სკოლის მასწავლებლების არაფორმალური კუთხით გაცნობას, მათი ინტერესების, თვისებებისა და შეხედულებების წარმოჩენას; წარმატებული კურსდამთავრებულების ისტორიებსა და რჩევებს მოსწავლეებისთვის; სკოლის სიახლეებსა და მიმდინარე შესაძლებლობებს; არსებულ პრობლემებს, დისკუსიას მათი გადაჭრის გზებზე და სხვ.

შედეგი: გაიზარდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ხარისხი; მოსწავლეებმა სხვა თვალით დაინახეს პედაგოგები, რამაც პოზიტიური გავლენა მოახდინა მათ ურთიერთობებზე; გაიზარდა სკოლის მიმართ ინტერესი და სხვა სკოლის მოსწავლეებმაც დაიწყეს ზრუნვა სასკოლო ტელევიზიის შექმნაზე. თავის მხრივ, ადმინისტრაციას ტელევიზია საშუალებას აძლევს, უკეთ დაინახოს მოსწავლეთა ინტერესები და დამოკიდებულებები სკოლის მიმართ, რაც ზრდის განვითარების შესაძლებლობას.

რა განსხვავებაა სამოქალაქო განათლების კლუბსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის?

სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და კლუბების ფუნქციონირება ძალიან ჰგავს ქვეყნის ფარგლებში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.

მოსწავლეთა თვითმმართველობის, როგორც სკოლის სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია კანონით რეგულირდება. მის მიერ განხორციელებული პროექტები მთლიანად სკოლას უკავშირდება. თვითმმართველობის ინიციატივები და პროექტები სკოლის საჭიროებებიდან მომდინარეობს და უშუალოდ მის ფარგლებში კანონით მინიჭებული უფლებებისა და ვალდებულებების დაცვასა და პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული (იხილეთ მოსწავლეთა თვითმმართველობების ადგილობრივი გამოცდილების მაგალითები).

საკლუბო პროექტები იგეგმება კლუბის წევრების მიერ მოსწავლეთა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და ემსახურება მოსწავლეთა თვალით დანახული პრობლემების გადაჭრას, მაგალითად, როგორიცაა ცნობიერების დაბალი დონე შემდეგ თემებზე:

გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მრავალფეროვნების მიმღებლობა, დისკრიმინაცია; კლუბის წევრები აორგანიზებენ დასუფთავების, გამწვანების აქციებს და ა.შ.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები მკვეთრად გამიჯნულია და მათი თანამშრომლობა არ ხდება. პირიქით, სკოლის ეს ორივე რგოლი ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასკოლო დემოკრატიისა და, ზოგადად, სკოლის განვითარების პროცესებში. მაგალითად, სკოლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების (და არა მარტო) ადვოკატირება, სკოლასთან საფეხმავლო გადასასვლელების მონტაჟი და სხვა) როგორც კლუბის, ასევე, თვითმმართველობის წარმომადგენლები პროექტების განხორციელების პროცესში, საჭიროების შესაბამისად, თანამშრომლობენ ადგილობრივი და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.